

თანამედროვე კორპორაციული მართვის პრინციპები და მათი გავლენა ქართულ სამეწარმეო საზოგადოებათა ფუნქციონირებაზე

მარიკა ტურავა*

გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი

*პასუხისმგებელი ავტორი: marika.turava@gruni.edu.ge

რეზიუმე. სამეწარმეო საზოგადოებები გადამწყვეტ როლს ასრულებენ სახელმწიფოს მდგრადი ეკონომიკური განვითარების პროცესში. იმისთვის, რომ მეწარმეებმა შეძლონ გრძელვადიანი პროგრესის მიღწევა თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში, აუცილებელია, მათ გააჩნდეთ ეფექტიანი კორპორაციული მართვის ჩარჩო. ვაჭრობის ლიბერალიზაციის პარალელურად, იზრდება ბაზარზე კონკურენცია, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, მეწარმეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, საქმიანობა განახორციელონ მინიმალური შეზღუდვებით, რათა შეძლონ კაპიტალის დაგროვება სამართლიან და კონკურენტულ გარემოში და ხელი შეუწყონ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. ეფექტიანი კორპორაციული მართვა უზრუნველყოფს საწარმოს პასუხისმგებლიან მართვას და სამართლიანი ბალანსის დაცვას დაინტერესებულ მხარეთა ინტერესებს შორის, რაც, თავის მხრივ, ზრდის ინვესტორთა ნდობას და ბაზრის სტაბილურობას. სტატიის განხილვის საგანს წარმოადგენს კორპორაციული მართვის თანამედროვე პრინციპები და მათი პრაქტიკული იმპლემენტაცია საქართველოში. ყურადღება გამახვილებულია იმ რეფორმებზე, რომლებიც მიმართულია ქართული საკორპორაციო სამართლის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან მიახლოებაზე, განსაკუთრებით, 2014 წელს ევროკავშირთან დადებული ასოცირების შეთანხმების კონტექსტში. 2021 წლის საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ წარმოადგენს ამ რეფორმის განხორციელების პროცესში გადამწყვეტ ეტაპს, რომლის საშუალებითაც უნდა მოხდეს კორპორაციული მართვის თანამედროვე პრინციპების დამკვიდრება და კორპორაციული მართვის სისტემების გაძლიერება საქართველოში. სტატიაში გამოკვლეულია, თუ რამდენად შეესაბამება ახალი სამართლებრივი ჩარჩო კორპორაციული სამართლის ფუნდამენტურ მოთხოვნებს. განხილულია საქართველოს კორპორაციული მართვის სისტემა და ხაზგასმულია ის ცვლილებები, რომლებიც მიზნად ისახავს საწარმოთა კორპორაციული მართვის გაუმჯობესებას და დაინტერესებული მხარეების ინტერესთა სამართლიანი ბალანსის უზრუნველყოფას. სტატიაში განხილვის საგანს წარმოადგენს ე.წ. რბილი სამართლის გავლენით შექმნილი ქართული კორპორაციული მართვის კოდექსები კომერციული ბანკების და საჯარო ფასიანი ქაღალდების სფეროში, რომლებიც მიმართულია საწარმოებში გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების გაზრდისკენ. ქართულ სამართალზე თანამედროვე კორპორაციული პრინციპების გავლენის შესაფასებლად, სტატიაში ყურადღება გამახვილებულია საზოგადოების პარტნიორთა თანაბარი მოპყრობის პრინციპზე და მინორიტარი აქციონერების დაცვის სამართლებრივ მექანიზმებზე. ქართული სამართლის კონტექსტში, მსჯელობის საგანს წარმოადგენს, აგრეთვე, სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლება და საქმიანი შესაძლებლობის მითვისების აკრძალვა, რომლებიც გულისხმობს და ერთგულების ფიდუციური მოვალეობების კონტექსტში, უზრუნველყოფს სამეწარმეო საზოგადოების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებას. ამასთანავე, გაანალიზებულია, ქართულ სამართალში საწარმოს კაპიტალის შენარჩუნების მექანიზმები.

საკვანძო სიტყვები: კორპორაციული მართვა, აქციონერთა თანასწორობა, კაპიტალის შენარჩუნების პრინციპი, სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლება, საქმიანი შესაძლებლობის მითვისების აკრძალვა, მინორიტარ აქციონერთა დაცვა

შესავალი

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში სამეწარმეო საზოგადოებები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის. სავაჭრო ურთიერთობების ლიბერალიზაციისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის ჩამოყალიბების პროცესში მნიშვნელოვანია, რომ მეწარმე სუბიექტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, არამართლზომიერი შეზღუდვების გარეშე განახორციელონ თავიანთი სამეწარმეო საქმიანობა ბაზარზე და დააგროვონ ფინანსური კაპიტალი თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის პირობებში. მეწარმე სუბიექტების მიერ სამეწარმეო საქმიანობის ეფექტიანად განსახორციელებლად და დასახული მიზნების რეალიზაციისთვის აუცილებელია, საწარმოს მართვა ხდებოდეს გონივრულად და გულისხმიერად. იმისთვის, რომ შესაძლებელი იყოს, სამეწარმეო საზოგადოებამ დადებითი გავლენა მოახდინოს, ქვეყნის ეკონომიკასა და საზოგადოებაზე, საჭიროა ეფექტიანი და განვითარებული კორპორაციული მართვის სისტემის არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს სამეწარმეო საზოგადოების სტაბილურ ფუნქციონირებასა და გრძელვადიან წარმატებას ბაზარზე. ამ მიზნის მისაღწევად კი მნიშვნელოვანია, რომ კორპორაციული მართვის სისტემა საუკეთესო პრაქტიკისა და თანამედროვე კორპორაციული სტანდარტების გათვალისწინებით იყოს ჩამოყალიბებული.

კორპორაციული მართვა (Corporate Governance) წარმოადგენს თანამედროვე საკორპორაციო სამართლის ფუნდამენტურ საკითხს. კორპორაციული მართვა არის კომპლექსური კონცეფცია, რომლის სრულყოფილ შესწავლას სჭირდება თეორიული კვლევა და ემპირიული ანალიზი სხვადასხვა დისციპლინის პერსპექტივიდან (Binder-Tietz, 2022). ტერმინოლოგიურად მასთან მიმართებაში ერთიანი ცნება არ არის ჩამოყალიბებული პრაქტიკასა და დოგმატიკაში. კორპორაციული მართვა ზოგადად შეიძლება განიმარტოს, როგორც სისტემა, რომელიც აერთიანებს საწარმოს მართვასა და კონტროლთან დაკავშირებულ წესებს. კორპორაციული მართვა არის მექანიზმი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საწარმოს მართვის ორგანიზებული სტრუქტურის არსებობა, პარტნიორებისა და საწარმოსთან დაკავშირებული პირების ინტერესთა დაბალანსება და საწარმოში მიმდინარე პროცესების ეფექტიანი ზედამხედველობა. კორპორაციული მართვის მიზანია ეფექტიანი და გონივრული მენეჯმენტის ხელშეწყობა, რათა მეწარმე სუბიექტმა შეძლოს გრძელვადიანი წარმატების მიღწევა ბაზარზე. მეწარმე სუბიექტების, განსაკუთრებით კი დიდი კორპორაციების, წარუმატებლობამ შეიძლება ზიანი მოუტანოს საზოგადოებასა და ეკონომიკას. კორპორაციულ მართვას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს, ასევე, ფინანსური ბაზრების ეფექტიაობისა და საბაზრო ეკონომიკის სტაბილური ფუნქციონირებისთვის. შესაბამისად, საწარმოებში უნდა მოქმედებდეს ეფექტიანი კორპორაციული მართვის სისტემა, რომელიც თანამედროვე საკორპორაციო სამართალში მოქმედ პრინციპებს ასახავს და საუკეთესო კორპორაციული მართვის სტანდარტებს შეესაბამება.

კორპორაციული მართვის სისტემები და მიდგომები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ისტორიულ, სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ კონტექსტში ვითარდებოდა. შესაბამისად, კორპორაციული მართვის სტრუქტურებიც სხვადასხვაგვარად ჩამოყალიბდა. ამავდროულად, სავაჭრო ურთიერთობების ლიბერალიზაციისა და კაპიტალის ბაზრების

გლობალიზაციის პირობებში კარგ კორპორაციულ მართვასთან მიმართებით ჩამოყალიბდა ერთიანი პრინციპები, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს ეკონომიკური სტაბილურობა, ფინანსური კრიზისების თავიდან აცილება და ეფექტიანი ბაზრების განვითარება.

კორპორაციული მართვის კუთხით საქართველოს მწირი გამოცდილება განპირობებულია გასულ საუკუნეში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესებით, რომლებიც არ იძლეოდა საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული სამეწარმეო ურთიერთობების ჩამოყალიბების შესაძლებლობას. საქართველოსთვის, როგორც ქვეყნისთვის, რომელიც დღესდღეობით ისწრაფვის საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციისკენ და კაპიტალის ბაზრის განვითარებისკენ, კორპორაციული მართვის განვითარებას ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება. 2014 წელს ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმებით საქართველომ ვალდებულება აიღო, კორპორაციული მართვის სფეროში საკუთარი კანონმდებლობა ეტაპობრივად დაუახლოვოს ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებს, მათ შორის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის პრინციპებს კორპორაციულ მმართველობასთან დაკავშირებით (ასოცირების შეთანხმება, 2014, კარი VI, თავი 6 და XXVIII დანართი). ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებებისა და არსებული საკანონმდებლო ხარვეზებიდან გამომდინარე, განხორციელდა რეფორმა და 2021 წელს მიღებულ იქნა კანონი „მეწარმეთა შესახებ“, რომელმაც ახლებურად მოაწესრიგა საკორპორაციო სამართლის ფუნდამენტური საკითხები საერთაშორისო და ევროპული პრინციპების შესაბამისად.

წინამდებარე ნაშრომის კვლევის მთავარ საგანს წარმოადგენს კორპორაციული მართვის სტანდარტების და პრინციპების გავლენა დღევანდელ საკორპორაციო სამართლის კანონმდებლობაზე საქართველოში. ნაშრომში გაანალიზებული იქნება 2021 წლის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ის ნორმები, რომლებიც თანამედროვე საკორპორაციო სამართლის პრინციპებს გამოხატავს და საუკეთესო კორპორაციული მართვის სტანდარტებს შეესაბამება.

კორპორაციული მართვის საერთაშორისო სტანდარტების გავლენა ქართულ საკორპორაციო სამართალზე

კორპორაციული მართვა ფუნდამენტური მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენს საკორპორაციო სამართალში და არაერთ სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ ასპექტს მოიცავს. კორპორაციული მართვა ხელს უწყობს მეწარმე სუბიექტების ზრდას და მდგრად განვითარებას. ის, ასევე, ეხმარება სამეწარმეო საზოგადოებებს დასახული მიზნების მიღწევასა და რისკების კონტროლში, რომლებიც მუდმივად თან სდევს სამეწარმეო ურთიერთობებს. კარგი კორპორაციული მართვა არა მარტო აუმჯობესებს მეწარმე სუბიექტის მიერ საქმიანობის განხორციელების ეფექტიანობასა და პროდუქტიულობას, ის ასევე ხელს უწყობს ბაზარზე სამეწარმეო საზოგადოების დამკვიდრებას, როგორც სანდო და პასუხისმგებლიანი ბიზნეს-სუბიექტისა.

სამეწარმეო საზოგადოებებში, სადაც კორპორაციული მართვის სისტემა ნათლად არის სტრუქტურირებული და სხვადასხვა ფუნქციები მკაფიოდ არის განაწილებული ორგანოებს

შორის, სამეწარმეო გადაწყვეტილებების მიღების პროცესი უფრო მარტივი ხდება და ნაკლებ დროს მოითხოვს. გრძელვადიან პერსპექტივაში წარმატების მისაღწევად აუცილებელია კარგი კორპორაციული მართვა, რადგან რაც უფრო მეტად ორგანიზებული და გამჭვირვალეა მეწარმე სუბიექტი, მით უფრო იზრდება ინვესტორთა ნდობა ბიზნეს-სუბიექტის მიმართ და მეტად განჭვრეტადი ხდება მეწარმე სუბიექტთან საქმიანი ურთიერთობები.

კორპორაციული მართვის სისტემა საქართველოში

კორპორაციული მართვის სისტემამ და მისმა საკანონმდებლო მოწესრიგებამ ქართულ რეალობაში გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული არაერთხელ განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები. 1994 წელს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მიღებისას გერმანული საზოგადოებათა სამართლის გავლენით კანონის 55-ე მუხლის პირველ პუნქტში იმპერატიულად განისაზღვრა სამეთვალყურეო საბჭოს არსებობის სავალდებულო ხასიათი ქართული სააქციო საზოგადოებებისთვის, რითაც ქართველმა კანონმდებელმა არჩევანი გააკეთა კორპორაციული მართვის დუალისტურ მოდელზე, რომელიც სავალდებულოდ მიიჩნევს სააქციო საზოგადოებისთვის ერთმანეთისგან დამოუკიდებელი მართვისა და კონტროლის ორგანოების არსებობას, ანუ დირექტორატისა და სამეთვალყურეო საბჭოს ერთმანეთისგან გამოიჯვრება (Welge & Eulerich, 2014). 2007 წლის 11 ივლისის ცვლილებით, 55-ე პრიმა მუხლის ჩანაწერი შეიცვალა და განისაზღვრა გამონაკლისი, როცა აუცილებელი არ იყო სააქციო საზოგადოებისთვის სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა, კერძოდ, იმ საზოგადოებაში, სადაც სახელმწიფოს წილი შეადგენდა საწესდებო კაპიტალის 50%-ზე მეტს. სხვა გამონაკლისს კანონი არ ითვალისწინებდა.

2008 წლის 14 მარტის ცვლილებებით „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 55-ე მუხლის პირველი პუნქტი ფუნდამენტურად შეიცვალა და სამეთვალყურეო საბჭომ დაკარგა სააქციო საზოგადოებისთვის სავალდებულო ორგანოს ბუნება (სამი გამონაკლისი შემთხვევის გარდა), რითაც ის გერმანულ მოწესრიგებას ჩამოშორდა და ანგლო-ამერიკული სისტემის გავლენას დაექვემდებარა. კერძოდ, 55-ე მუხლის პირველი პუნქტით განისაზღვრა, რომ სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა სავალდებულო იყო მხოლოდ მაშინ, თუ სააქციო საზოგადოება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით იყო ანგარიშვალდებული საწარმო, რომლის ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ არის დაშვებული ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე, ან სააქციო საზოგადოება საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ არის ლიცენზირებული, ან სააქციო საზოგადოების აქციონერთა რაოდენობა აღემატება 100-ს, ყველა სხვა შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა აღარ იყო სავალდებულო.

რაც შეეხება კორპორაციული მართვის სისტემის მოქმედ საკანონმდებლო მოწესრიგებას, 2021 წლის აგვისტოს შემდეგ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 182-ე მუხლი ადგენს, რომ სააქციო საზოგადოებას შეიძლება ჰქონდეს მართვის დუალისტური ან მონისტური სისტემა, ანუ სააქციო საზოგადოებას მინიჭებული აქვს არჩევის თავისუფლება (გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა). კანონის თანახმად, დუალისტურია მართვის სისტემა, როდესაც სააქციო საზოგადოებას, საერთო კრებისა და ხელმძღვანელი ორგანოს გარდა,

ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო. მონიტურია მართვის სისტემა, როდესაც სააქციო საზოგადოებას არ ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო (მუხლი 182, პუნქტი 2).

გარდა ამისა, კანონში განსაზღვრულია, რომ თუ სააქციო საზოგადოება არის „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ანგარიშვალდებულის საწარმო, რომლის ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ არის დაშვებული საფონდო ბირჟაზე, ან თუ სააქციო საზოგადოება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ არის ლიცენზირებული, სავალდებულოა არანაკლებ სამი და არაუმეტეს 21 წევრისგან შემდგარი სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა (მუხლი 182, პუნქტი 3).

კორპორაციული მართვის კოდექსები საქართველოში

საქართველოში საკორპორაციო სამართალში, მოქმედი კანონმდებლობის გარდა, გვხვდება კორპორაციული მართვის კოდექსები ორი მიმართულებით, კერძოდ, მოქმედებს 2018 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული „კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსი“ და 2021 წელს დამტკიცებული „საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისათვის კორპორაციული მართვის კოდექსი“.

„კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის“ მიზანია კომერციული ბანკებისათვის კორპორაციული მართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრა, რამდენადაც ეფექტური და ჯანსაღი კორპორაციული მართვა ბანკებში ხელს უწყობს საბანკო სექტორისა და, ზოგადად, ფინანსური სექტორის ეფექტურ ფუნქციონირებასა და მდგრადობას (მუხლი 1, პუნქტი 1). კოდექსის მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა საქართველოში მოქმედი ყველა კომერციული ბანკისა და უცხოური ბანკების ფილიალების ან შვილობილებისათვის და თუ კოდექსი არ აწესრიგებს კორპორაციული მართვის გარკვეულ საკითხს, ბანკმა, საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით, უნდა იხელმძღვანელოს ამ კუთხით არსებული, თუნდაც უფრო მკაცრი, საუკეთესო მოწინავე პრაქტიკით, რომელიც, მათ შორის, მოიცავს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის პრინციპებს (მუხლი 1, პუნქტი 2).

აღნიშნული კოდექსი განსაზღვრავს, რომ ბანკის კორპორაციულ მართვაზე პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭო, ამასთან, დირექტორატს მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს ეფექტური კორპორაციული მართვის გატარებასა და შენარჩუნებაში, რაც გულისხმობს საბჭოს მიერ დამტკიცებული პოლიტიკის ეფექტიან შესრულებას. ბანკს უნდა ჰქონდეს მკაფიოდ განსაზღვრული ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობების განსაზღვრას, რისკების ეფექტიანი მართვის, მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცესებს, ადეკვატურ შიდა კონტროლის მექანიზმებს. ბანკის მმართველობის სტრუქტურა უნდა შეესაბამებოდეს ბანკის საქმიანობის ბუნებას, მასშტაბებს და კომპლექსურობას. ბანკმა უნდა უზრუნველყოს ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბება, რომელშიც გამორიცხულია ინტერესთა კონფლიქტის არსებობა და არავინ სარგებლობს გადაწყვეტილების მიღების შეუზღუდავი უფლებამოსილებებით (მუხლი 3).

კოდექსი განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე სხვადასხვა კომიტეტის, კერძოდ, აუდიტის, რისკების, ანაზღაურების კომიტეტების შექმნას (მუხლი 3). კოდექსის მოთხოვნების შესრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია გაატაროს არსებული ვითარებისათვის საჭირო ადმინისტრაციული და მაკორექტირებელი ღონისძიებები (მუხლი 21, პუნქტი 1).

„საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისათვის კორპორაციული მართვის კოდექსის“ მოთხოვნების დადგენის მიზანს წარმოადგენს საქართველოში საწარმოების გამჭვირვალობის ხარისხის გაზრდა, ინვესტორთა ნდობის ამაღლება საწარმოების და მათი მმართველი ორგანოს მიმართ, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს კაპიტალის ბაზრისა და ფინანსური სექტორის მდგრადობასა და ეფექტიან ფუნქციონირებას (მუხლი 1). აღსანიშნავია, რომ ხსენებული კოდექსი ეფუძნება მიდგომას: „შეასრულე ან განმარტე და წარმოადგინე ალტერნატივა“, რომელიც მოითხოვს კოდექსში წარმოდგენილი პრინციპების გააზრებულ შესრულებას, ხარვეზების იდენტიფიცირებას, ასევე, ამ ხარვეზების აღმოფხვრის ვადების განსაზღვრასა და ხარვეზების აღმოფხვრისთვის გამოყენებული მეთოდების დასაბუთებას. თუ მმართველი ორგანო აღმოაჩენს, რომ მას არ შეუძლია შეასრულოს კოდექსის რომელიმე მოთხოვნა, გარდა იმ მოთხოვნებისა, რომელთა შესრულება სავალდებულოა სხვა ნორმატიული აქტებით, სასურველი შედეგის მისაღებად უნდა მიმართოს მოთხოვნებთან შესაბამისობის ალტერნატიულ მეთოდს, ხოლო სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია აღწეროს ღონისძიებები, რომლებიც მან გაატარა ან აპირებს გაატაროს კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის დასაწერად (მუხლი 2).

აღსანიშნავია, ასევე, საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, რომლის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტში განსაზღვრულია, რომ საზოგადოებრივი დაინტერესების პირმა, მაგ.: ანგარიშვალდებულმა საწარმომ შესაბამის ზედამხედველობის სამსახურს უნდა წარუდგინოს კორპორაციული მართვის ანგარიშგება, რაც უნდა მოიცავდეს: 1) სუბიექტისათვის სავალდებულო ან მის მიერ საკუთარი სურვილით შერჩეული კორპორაციული მართვის კოდექსის და სუბიექტის იმ კორპორაციული მართვის პრაქტიკის მიმოხილვას, რომელიც აღემატება კანონით დადგენილ მოთხოვნებს. საკუთარი სურვილით შერჩეული კორპორაციული მართვის კოდექსის გამოყენების შემთხვევაში, სუბიექტი ვალდებულია მიუთითოს, თუ სად არის ეს კოდექსი საჯაროდ განთავსებული; 2) სავალდებულო ან საკუთარი სურვილით შერჩეული კორპორაციული მართვის კოდექსიდან გადახვევების და შესაბამისი მიზეზების ანალიზს. ეს იმას ნიშნავს, რომ დიდი ბრიტანეთისა და გერმანიის კორპორაციული მართვის კოდექსებთან მიმართებაში განხილული „შეასრულე (დაემორჩილე) ან განმარტე“ („Comply or explain“) პრინციპი ამ შემთხვევაში სრულად გაზიარებულია.

აქციონერთა თანაბარი მოპყრობის პრინციპი

დღესდღეობით საკორპორაციო სამართალში ფართოდ აღიარებულია აქციონერთა თანაბარი მოპყრობის სტანდარტი, რომელიც, მათ შორის, ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის (OECD) პრინციპების ერთ-ერთი მთავარი საკითხია (OECD,

2015, 24). „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 34-ე მუხლის მეორე პუნქტი განსაზღვრავს, რომ თანაბარ პირობებში პარტნიორებს თანაბარი უფლებები და მოვალეობები აქვთ და ამ პრინციპიდან გამონაკლისი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიშვება, თუ ის ამ კანონით ან წესდებით პირდაპირ არის გათვალისწინებული და აუცილებელია, სამეწარმეო საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე.

სააქციო საზოგადოებისთვის „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 158-ე მუხლის მესამე პუნქტი ეხება და განსაზღვრულია, რომ ერთი კლასის აქციები მათ მფლობელებს თანაბარ უფლებებს ანიჭებს. გარდა ამისა, 154-ე მუხლის მეორე პუნქტი ადგენს, რომ ერთი კლასის ყველა აქციის ნომინალური ღირებულება ერთი და იგივე უნდა იყოს. 167-ე მუხლის შესაბამისად, ახალი აქციების გამოშვების შესახებ საერთო კრების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, თავდაპირველად იმავე კლასის აქციის მფლობელ აქციონერს, ხოლო შემდგომ – სხვა აქციონერს საკუთარი წილის პროპორციულად აქვს ახალი აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება. თანასწორუფლებიანობა უმეტესად ვრცელდება ერთი კლასის აქციონერებს შორის. სხვადასხვა კლასის აქციების მფლობელი პირებისთვის სხვადასხვა უფლებების მინიჭების შესაძლებლობას პრინციპებიც ითვალისწინებს და ის არ ითხოვს აბსოლუტურ თანასწორობას სხვადასხვა კლასის მქონე აქციონერებს შორის (OECD, 2015).

აქციონერთა თანაბარი მოპყრობის პრინციპი, ასევე, დადგენილია გერმანიის სააქციო საზოგადოებათა კანონის 53a პარაგრაფში, რომელიც ადგენს, რომ თანაბარ პირობებში აქციონერები თანაბარი უფლებებით უნდა სარგებლობდნენ. მნიშვნელოვანია, აქციონერებს ჰქონდეთ ინფორმაციის მიღების თანაბარი საშუალება საწარმოსთვის რელევანტურ საკითხებთან დაკავშირებით. სააქციო საზოგადოებათა სამართალში მოქმედებს პრინციპი, რომ არცერთ აქციონერს არ უნდა მიეცეს უპირატესი წვდომა კომპანიასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რითაც ხელი უნდა შეეშალოს აქციონერებს, მოიპოვონ საწარმოს ცალკეულ აქციონერებთან მიმართებაში ინფორმაციული უპირატესობა, რომელიც შეუძლიათ გამოიყენონ ოპორტუნისტულად, სხვა აქციონერების საზიანოდ (Herz, 2020).

უმცირესობაში მყოფი აქციონერების დაცვა

კორპორაციაში უმცირესობაში მყოფ (მინორიტარ) აქციონერთა დაცვის მექანიზმები სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში სხვადასხვაგვარად არის დარეგულირებული. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) პრინციპების თანახმად, არსებობს ინსტრუმენტები, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელია მინორიტარი აქციონერების დაცვა და მათი პოზიციების გამყარება საზოგადოებაში. აღნიშნულმა სტანდარტებმა ასახვა ქართულ კანონმდებლობაშიც ჰპოვა.

OECD-ის პრინციპების თანახმად, მინორიტარი აქციონერები დაცული უნდა იყვნენ დომინანტი აქციონერების ქმედებებისგან, რომლებიც მათ წინააღმდეგ არის მიმართული და მათ უნდა ჰქონდეთ სიტუაციის გამოსწორების ეფექტური საშუალებები (OECD, 2015). „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 176-ე მუხლი განსაზღვრავს, თუ სააქციო საზოგადოების დომინანტმა აქციონერმა თავისი დომინანტური მდგომარეობა განზრახ გამოიყენა ამ

სააქციო საზოგადოების საზიანოდ, მან უნდა აანაზღაუროს მიყენებული ზიანი. დომინანტ აქციონერად მიიჩნევა აქციონერი ან ერთად მოქმედ აქციონერთა ჯგუფი, რომელსაც აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, გადამწყვეტი გავლენა მოახდინოს საერთო კრებაზე ჩატარებული კენჭისყრის შედეგზე. ეს აქციონერი/აქციონერთა ჯგუფი ვალდებულია, სააქციო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის გარდა, აანაზღაუროს, აგრეთვე, აქციონერისთვის მიყენებული ზიანი, გარდა იმ ზიანისა, რომელიც მას მიადგა სააქციო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანიდან გამომდინარე, მათ შორის, მისი აქციების ღირებულების შემცირებით (მუხლი 176, პუნქტი 2).

OECD-ის პრინციპების თანახმად, მექანიზმი, რომელიც ასევე მნიშვნელოვანია მინორიტარი აქციონერების დასაცავად, არის ერთგულების მოვალეობა (OECD, 2015) და მისი მაქსიმალურად მკაფიოდ ჩამოყალიბება. აღნიშნული პრინციპი „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 34-ე მუხლის პირველ პუნქტშია მოცემული, სადაც განსაზღვრულია, რომ პარტნიორმა თავისი უფლებებით სარგებლობისას მხედველობაში უნდა მიიღოს სამეწარმეო საზოგადოებისა და დანარჩენ პარტნიორთა კანონიერი ინტერესები და უფლებები.

OECD-ის პრინციპების თანახმად, ბორდის წევრების არჩევა ხმების აკუმულირების მეთოდის გამოყენებით შეიძლება მიჩნეულ იქნეს მინორიტარი აქციონერების სასარგებლო მექანიზმად. ეს სისტემა საშუალებას აძლევს მინორიტარ აქციონერებს, მეტი გავლენა მოახდინონ საბჭოს წევრების არჩევაზე (OECD, 2015). „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 199-ე მუხლის შესაბამისად, აქციონერი თავის ყველა ხმას ანაწილებს ნებისმიერი რაოდენობის კანდიდატებზე, ისე, რომ კენჭისყრაში მონაწილეობისას მის ხმათა ჯამური რაოდენობა არ აღემატებოდეს მის განკარგულებაში არსებულ ხმათა საერთო რაოდენობას. მინორიტარ აქციონერებს შეუძლიათ თავიანთი ხმების კონცენტრირება ერთ ან რამდენიმე კანდიდატზე, რაც ზრდის ამ კანდიდატების არჩევის ალბათობას.

კიდევ ერთ საშუალებად უმცირესობაში მყოფ აქციონერთა უფლებების გაუმჯობესებისთვის მიიჩნევა, ასევე, დერივაციული სარჩელის მექანიზმი. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 222-ე მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს, რომ ერთ ან რამდენიმე აქციონერს უფლება აქვს, შეიტანოს სარჩელი საკუთარი სახელით და სააქციო საზოგადოების სასარგებლოდ სააქციო საზოგადოების კუთვნილი მოთხოვნის განსახორციელებლად, მათ შორის, სააქციო საზოგადოების თანამდებობის პირთა წინააღმდეგ, მათ მიერ საკუთარი მოვალეობების შეუსრულებლობით სააქციო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ან მიყენებული ზიანის ანაზღაურების სანაცვლოდ მიღებული სარგებლის სააქციო საზოგადოებისთვის გადაცემის ან ამგვარი სარგებლის მიღების უფლების დათმობის მოთხოვნით.

გარდა ამისა, მინორიტარი აქციონერისთვის მნიშვნელოვანია საერთო კრების, სამეთვალყურეო საბჭოს და ხელმძღვანელი პირის (ორგანოს) გადაწყვეტილების შეცვლების/გასაჩივრების უფლებამოსილება, რომელიც „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 93-ე მუხლით არის განსაზღვრული (იხ. მუხლი 181).

კაპიტალის შენარჩუნების პრინციპი

თანამედროვე საკორპორაციო სამართალში კაპიტალის შენარჩუნების პრინციპი (Doctrine of capital maintenance) წარმოადგენს ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს (Islam, 2013), რომელიც 2021 წელს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მიღებისას ახლებურად მოწესრიგდა. აღნიშნული პრინციპი ემსახურება კრედიტორთა დაცვას და საწარმოს ქონების გაფლანგვის თავიდან აცილებას (Islam, 2013). „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 181-ე მუხლი განსაზღვრავს სააქციო საზოგადოებაში დივიდენდის გაცემის წესს და ადგენს, რომ საზოგადოება უფლებამოსილია, მიიღოს განთავსებულ აქციებზე დივიდენდის სახით მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც: დივიდენდის განაწილებამდე ან დივიდენდის განაწილების შედეგად სააქციო საზოგადოების ბოლო ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული წმინდა აქტივის ოდენობა იქნება უფრო ნაკლები, ვიდრე განთავსებული კაპიტალის ოდენობა და კანონით ან წესდებით გათვალისწინებული იმ რეზერვების ოდენობა, რომელთა აქციონერებზე განაწილება დაუშვებელია; ან თუ გასანაწილებელი დივიდენდის ოდენობა აღემატება ბოლო ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნულ, ხოლო შუალედური დივიდენდის შემთხვევაში – ბოლო ფინანსური ანგარიშგების შედგენის შემდეგ მიღებულ, სააქციო საზოგადოების წმინდა მოგებისთვის წინა წლების გაუნაწილებელი მოგებისა და თავისუფალი რეზერვებიდან გამოთავისუფლებული სახსრების დამატებით და წინა წლების დაუფარავი ზარალისა და კანონით ან წესდებით დადგენილ რეზერვებში გადასარიცხი თანხების გამოკლებით მიღებულ ოდენობას; ან თუ დივიდენდის გადახდის დღისთვის ან დივიდენდის გადახდის შედეგად სააქციო საზოგადოება გადახდისუუნარო გახდება ან გადახდისუუნარობის საშიშროების წინაშე დადგება (მუხლი 181, პუნქტი 1).

საზოგადოების კაპიტალის დაცვის მიზნებისთვის მნიშვნელოვან დათქმას შეიცავს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 171-ე მუხლიც, რომელიც ადგენს, რომ თუ, საანგარიშგებო პერიოდის ან შუალედური ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, სააქციო საზოგადოების წმინდა აქტივის ღირებულება სააქციო საზოგადოების განთავსებული კაპიტალის ნახევარზე ნაკლებია, დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მოწვეული საერთო კრება, რომელიც განიხილავს სააქციო საზოგადოების შესაძლო დამლის საკითხს ან სხვა აუცილებელი ღონისძიების განხორციელების შესაძლებლობას, მათ შორის, განთავსებული კაპიტალის შემცირებას ან აქციონერთა მიერ დამატებითი შენატანების განხორციელებას.

სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლება

სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლება (Business Judgment Rule) ქართულ საკორპორაციო სამართალში პირველად კოდიფიცირდა 2021 წელს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მიღებით. სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლების პრინციპი წარმოადგენს ამერიკული სასამართლო პრაქტიკიდან წარმოშობილ დოქტრინას, რომელიც იცავს კორპორაციის ხელმძღვანელ პირებს პასუხისმგებლობისგან სამეწარმეო გადაწყვეტილებების მიღებისას. არსებობს მოსაზრება, რომ სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლების მთავარ ფუნქციას წარმოადგენს ის იდეა, რომ სასამართლოს მიერ ხელმძღვანელი პირის მიერ

ფიდუციური ვალდებულების დარღვევის შესახებ გადაწყვეტილების მიღება უნდა იყოს შეზღუდული (Shlensky v. Wrigley, 1968). ჩაურევლობის დოქტრინა (Abstention Doctrine) ეფუძნება დირექტორების პრიმატის მოდელს (Director Primacy Model), რომლის ფარგლებში დირექტორთა საბჭო წარმოადგენს არა აგენტს, არამედ ფუნქციონირებს, როგორც საზოგადოების პრინციპალი, რომელიც ეფექტური და ცენტრალიზებული გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამოყენებით ხელმძღვანელობს და მართავს სამეწარმეო საზოგადოებას (Bainbridge, 2004). დირექტორების პრიმატის მოდელის გამოყენებისას ვლინდება დაპირისპირება ხელმძღვანელ პირთა ძალაუფლებასა და მათ ანგარიშვალდებულებას (პასუხისმგებლობას) შორის, რომლის გადაჭრის მექანიზმად შემოთავაზებულია სწორედ სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლების გამოყენება (Bainbridge, 2004).

„მეწარმეთა შესახებ“ მოქმედი კანონის 52-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ ზრუნვის მოვალეობა არ არის დარღვეული და ხელმძღვანელი პირი არ არის ვალდებული, აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც სამეწარმეო საზოგადოებას მის მიერ მიღებული სამეწარმეო გადაწყვეტილებით მიაღდა, თუ ხელმძღვანელ პირს გონივრულად შეეძლო ევარაუდა, რომ იგი სამეწარმეო გადაწყვეტილებას საკმარისი და სანდო ინფორმაციის საფუძველზე, სამეწარმეო საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად და ინტერესთა კონფლიქტის ან სხვათა ზეგავლენის გარეშე იღებდა. გადამწყვეტ ელემენტებს ამ შემთხვევაში წარმოადგენს სამეწარმეო გადაწყვეტილების მიღება საკმარისი და სანდო ინფორმაციის საფუძველზე და საწარმოს ინტერესებში მოქმედება.

მოქმედი კანონი, ასევე, განსაზღვრავს, რომ ხელმძღვანელი პირი სამეწარმეო საზოგადოების წინაშე პასუხს აგებს კეთილსინდისიერების მოვალეობის ბრალეული შეუსრულებლობით მიყენებული ზიანისთვის. ხელმძღვანელი პირი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, თუ იგი თავისი ქმედებით საერთო კრების გადაწყვეტილებას ასრულებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მან საერთო კრების გადაწყვეტილების მიღებას ხელი შეუწყო არასწორი ინფორმაციის მიწოდებით ან იცოდა, რომ ამ გადაწყვეტილების მიღება ზიანს გამოიწვევდა, მაგრამ ამის თაობაზე არ შეატყობინა საერთო კრებას გადაწყვეტილების მიღებამდე ან გადაწყვეტილების აღსრულებამდე (მუხლი 50, პუნქტები 2 და 4).

სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლება ფართოდ აღიარებულ პრინციპს წარმოადგენს საკორპორაციო სამართალში, როგორც საერთო სამართლის სისტემაში, ისე კონტინენტური ევროპის ქვეყნებში და დღესდღეობით უკვე წარმოადგენს ქართული საკანონმდებლო მოწესრიგების ნაწილსაც. Business Judgment Rule არის პრინციპი, რომელიც უზრუნველყოფს კორპორაციული დირექტორებისა და ოფიცრების დაცვას კეთილსინდისიერად და კორპორაციის საუკეთესო ინტერესებში მიღებული გადაწყვეტილების პასუხისმგებლობისგან. აღნიშნული პრინციპის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ის საშუალებას აძლევს კორპორაციის ხელმძღვანელ პირებს მიიღონ ბიზნესისთვის საჭირო გადაწყვეტილებები პირადი პასუხისმგებლობის შიშის გარეშე იქამდე, სანამ ისინი იმოქმედებენ კეთილსინდისიერად და კომპანიის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. აღნიშნული პრინციპის დანერგვა სამართლებრივ სისტემაში წახალისებს ხელმძღვანელ პირებს, მიიღონ უფრო მეტად გაბედული და ინოვაციური გადაწყვეტილებები, რაც სარგებელს მოუტანს კორპორაციას და მის აქციონერებს გრძელვადიან პერსპექტივაში.

საქმიანი შესაძლებლობის მითვისების აკრძალვა

2021 წელს მიღებულ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში სიახლეს წარმოადგენს საქმიანი შესაძლებლობის მითვისების აკრძალვის (Corporate Opportunity Doctrine) მოწესრიგება, რომელიც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს წარმოადგენს საკორპორაციო სამართალში. მოქმედი კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ხელმძღვანელ პირს არ აქვს უფლება, სამეწარმეო საზოგადოების წინასწარი თანხმობის გარეშე, პირადი სარგებლის ან, ამ საზოგადოების გარდა, სხვა პირთა მიერ სარგებლის მისაღებად ისარგებლოს სამეწარმეო საზოგადოების საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული საქმიანი შესაძლებლობით, რომელიც აღნიშნული პირისთვის ხელმისაწვდომი გახდა საქმიანი მოვალეობის შესრულებისას ან თანამდებობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე. ეს წესი ვრცელდება მხოლოდ იმ საქმიან შესაძლებლობებზე, რომლებიც გონივრული თვალსაზრისით სამეწარმეო საზოგადოების ინტერესის საგანი შეიძლება ყოფილიყო (მუხლი 54, პუნქტი 1).

ამავე მუხლში განსაზღვრულია ისიც, რომ სამეწარმეო საზოგადოების წინასწარი თანხმობის მიღება საჭირო არ არის, თუ საერთო კრებამ ან სამეთვალყურეო საბჭომ უკვე იმსჯელა აღნიშნულ შესაძლებლობაზე და უარი თქვა მის გამოყენებაზე (მუხლი 54, პუნქტი 1). აღნიშნული პრინციპი ცნობილია, როგორც საქმიანი შესაძლებლობის მითვისების აკრძალვა (Corporate Opportunity Doctrine), რომელიც უზღუდავს ხელმძღვანელ პირს იმის შესაძლებლობას, გამოიყენოს და განახორციელოს ახალი ბიზნეს პერსპექტივები მანამ, სანამ ის ამ შესაძლებლობას, პირველ რიგში, არ შესთავაზებს სამეწარმეო საზოგადოებას, რაც გამომდინარეობს ერთგულების მოვალეობიდან (Duty of Loyalty), რომლის ფარგლებშიც ის ვალდებულია საზოგადოების ინტერესები პირად ინტერესზე მაღლა დააყენოს, როგორც ფიდუციარმა (Rauberberg and Talley, 2017).

სასამართლოები აანალიზებენ რამდენიმე ფაქტორს, რათა დადგინდეს, არის თუ არა საქმეში საქმიანი (კორპორაციული) შესაძლებლობის მითვისების შემთხვევა აშკარა. ამისთვის უნდა შემოწმდეს შემდეგი ფაქტორები: რამდენად შეძლებს კორპორაცია ფინანსურად გამოიყენოს ეს კონკრეტული შესაძლებლობა; ექცევა თუ არა კონკრეტული საქმიანი შესაძლებლობა ბიზნესის იმავე საქმიანობის სფეროში, რა საქმიანობითაცაა სამეწარმეო საზოგადოება დაკავებული; აქვს თუ არა საზოგადოებას ინტერესი ან მოლოდინი ამ საქმიან შესაძლებლობასთან მიმართებით; ამ საქმიანი შესაძლებლობის გამოყენება გამოიწვევს თუ არა ფიდუციური მოვალეობების დარღვევას დირექტორისთვის ან ინტერესთა კონფლიქტს დირექტორსა და მენეჯერებს შორის (Guth v. Loft, 1939).

2021 წლამდე მოქმედი კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტში განსაზღვრული იყო, რომ პარტნიორთა კრების წინასწარი თანხმობის გარეშე ხელმძღვანელ პირებს არ ჰქონდათ უფლება, პირადი სარგებლის მიღების მიზნით გამოეყენებინათ საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა თავიანთი მოვალეობების შესრულების ან თანამდებობრივი მდგომარეობის გამო. შესაბამისად, აღნიშნული დათქმა ვრცელდებოდა ინფორმაციაზე და არა საქმიან შესაძლებლობაზე, როგორც ეს მოქმედი კანონით არის განსაზღვრული 54-ე მუხლში, რომელმაც ქართული კანონმდებლობა მეტად დაუახლოვა აშშ-ში აღიარებულ იმავე პრინციპს. მოქმედი კანონი „მეწარმეთა

შესახებ“, ასევე, განსაზღვრავს ამ პრინციპის დარღვევის სამართლებრივ შედეგს, კერძოდ, დადგენილია, რომ საქმიანი შესაძლებლობის მითვისების აკრძალვის წესის დარღვევის შემთხვევაში სამეწარმეო საზოგადოებას შეუძლია დამრღვევს მოსთხოვოს ამ დარღვევით სამეწარმეო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის (მათ შორის, მიუღებელი შემოსავლის) ანაზღაურება. სამეწარმეო საზოგადოებას შეუძლია დამრღვევს ზიანის ანაზღაურების ნაცვლად მოსთხოვოს საკუთარი ან მესამე პირის სახელით დადებული გარიგებიდან დამრღვევის მიერ მიღებული სარგებლის სამეწარმეო საზოგადოებისთვის გადაცემა ან ამგვარი სარგებლის მიღების უფლების დათმობა (მუხლი 54, პუნქტი 2) და ამ მოთხოვნის უფლების გამოყენება შეუძლია ხელმძღვანელ ორგანოს, სამეთვალყურეო საბჭოს, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში – თითოეულ პარტნიორს (მუხლი 54, პუნქტი 3).

დასკვნა

კორპორაციული მართვის პრინციპები და სტანდარტები წარმოადგენს ნებისმიერი კორპორაციის ეფექტური ფუნქციონირებისთვის და გრძელვადიანი წარმატებისთვის აუცილებელ წინაპირობას. ისინი შექმნილია იმისათვის, რომ უზრუნველყონ ყველა დაინტერესებული პირის ინტერესების გათვალისწინება და საწარმოს მართვა გამჭვირვალედ და ეთიკურად. კარგი კორპორაციული მართვის პრინციპები არის ფუნდამენტური მნიშვნელობის, რადგან ადგენს მკაფიოდ განსაზღვრულ ფუნქციებს და პასუხისმგებლობის ფარგლებს კომპანიის მენეჯმენტისა და დირექტორთა საბჭოს წევრებისთვის და აკისრებს ანგარიშვალდებულებას მათ მიერ განხორციელებული ქმედებებისთვის. კორპორაციული მართვის პრინციპები უზრუნველყოფს აქციონერთა ინტერესების დაცვას მათთვის ზუსტი და დროული ინფორმაციის მიწოდებით და საწარმოს გამჭვირვალე მართვას.

კორპორაციული მართვის პრინციპები, ასევე, ადგენს ეთიკური ქცევის ხელშეწყობის სტანდარტებს, ადგენს რისკების იდენტიფიკაციისა და მართვის სისტემებს, რაც ხელს უწყობს კორპორაციის დაცვას პოტენციური ფინანსური დანაკარგებისგან. კორპორაციული მართვის პრინციპები ეხმარება კომპანიებს იმის უზრუნველყოფაში, რომ ორგანიზაცია იმგვარად იმართებოდეს, რომ მან მიაღწიოს ბაზარზე გრძელვადიან წარმატებას და მდგრადობას და არ იყოს ფოკუსირებული მხოლოდ მოკლევადიან მიღწევებზე.

კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინება ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიღების პროცესების გაუმჯობესებას და სხვადასხვა დაინტერესებულ პირთა ინტერესების დაბალანსებას. კორპორაციული მართვის პრინციპები აუცილებელია იმის უზრუნველსაყოფად, რომ საწარმოს მართვა ხდებოდეს გამჭვირვალედ, ეთიკურად და პასუხისმგებლობით, რაც გადამწყვეტია გრძელვადიანი წარმატებისა და მდგრადობისთვის.

კორპორაციული მართვის სტანდარტები განსხვავდება სხვადასხვა ქვეყანაში და სამართლებრივ სისტემაში, თუმცა, არსებობს პრინციპები, რომელთაც უნივერსალური მნიშვნელობა აქვთ. ბაზრების ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის გადამწყვეტია არა კორპორაციული მართვის კონკრეტული სტრუქტურები და სპეციფიკური ელემენტები, არამედ უფრო მეტად ის პრაქტიკული შედეგი, რომელიც მოპყვება მათ განხორციელებას. კორპორაციული

მართვის სრულყოფილი სისტემა არასოდეს იარსებებს (Clarke, 2007), მაგრამ კორპორაციული მმართველობა არის რისკის მართვა და ინფორმაციის გამჟღავნებისა და გამჭვირვალობის სტანდარტების უწყვეტი ამაღლება გადამწყვეტი იქნება სამომავლოდ ეფექტიანი კორპორაციული მართვისთვის (Clarke, 2007).

კორპორაციულ მართვას მომავალში განსაზღვრავს მრავალი ფაქტორი, მათ შორის, ტექნოლოგიების მიღწევები, სოციალური ტრანსფორმაციები და გლობალური ეკონომიკის ცვლილებები. კორპორაციული მართვის სისტემებში, საქართველოშიც, სავარაუდოდ გაიზრდება კორპორაციების პასუხისმგებლობის სოციალური და გარემოსდაცვითი ელემენტები. მოსალოდნელია კორპორაციული მართვის პრინციპების მიმართულებით უფრო მეტი ჰარმონიზაცია და მართვის სისტემების კონვერგენცია სხვადასხვა ქვეყანაში. ეს შეიძლება განხორციელდეს საერთო სტანდარტებისა და რეგულაციების შემუშავებით, რაც ხელს შეუწყობს საწარმოთა მენეჯმენტში გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და სამართლიანობის გაძლიერებას. ჰარმონიზაციის პროცესი სასარგებლო შეიძლება გახდეს, თაღლითობის რისკის შემცირებისა და ინვესტიციების დაცვის მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

- ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის. 11/09/2014, N200/42.
- კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსი, 27/09/2018, N 215/04.
- საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ. 24/06/2016, N 5386-II ს.
- საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ. 04/08/2021, N 875-Vრს-Xმპ.
- საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ. 28/10/1994, N 577.
- საქართველოს კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ. 14/01/1999, N 1745.
- საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისათვის კორპორაც. მართვის კოდექსი. 09/12/2021, N 172/04.
- Bainbridge, S.M. (2004). The business judgment rule as abstention doctrine. *Vanderbilt Law Review*, 57(1), 83-130.
- Binder-Tietz, S. (2022). *Kommunikation von Aufsichtsratsvorsitzenden: Grundlagen – Strukturen – Ziele – Management*. Springer VS.
- Clarke, T. (2007). *International corporate governance: A comparative approach*. Routledge.
- Guth v. Loft, Inc., (1939). Delaware Supreme Court. 5 A.2d 503.
- Herz, P.J. (2020). Informationelle Gleichbehandlung und Informations privilegien im Aktienrecht. *Neue Zeitschrift für Gesellschaftsrecht*, (8), 285-291.
- Islam, M.S. (2015). The Doctrine of Capital Maintenance and its Statutory Developments: An Analysis. *Northern University Journal of Law*, (4), 47-55.
- OECD. (2015). *G20/OECD principles of corporate governance*.
- Rauterberg, G. and Talley, E. (2017). Contracting out of the fiduciary duty of loyalty: An empirical analysis of corporate opportunity waivers. *Columbia Law Review*, 117(5), 1075-1152.
- Shlensky v. Wrigley, 95 Ill. App. 2d 173, 237 N.E.2d 776 (III. App. Ct. 1968).
- Welge, M.K. and Eulerich, M. (2014). *Corporate-Governance-Management: Theorie und Praxis der guten Unternehmensführung* (2nd ed.). Springer Gabler.

Principles of Modern Corporate Governance and their Impact on the Functioning of Georgian Corporate Entities

Marika Turava*

Grigol Robakidze University

***Corresponding author: marika.turava@gruni.edu.ge**

Abstract. Corporate entities play a decisive role in the process of sustainable economic development of a country. In order for businesses to achieve long-term progress in the modern market economy, it is essential for them to have an effective corporate governance framework. With the liberalization of trade, competition in the market is increasing, and therefore, it is important for entrepreneurs to have the opportunity to conduct their activities with minimal restrictions, allowing them to accumulate capital in a fair and competitive environment and contribute to the country's economic development. Effective corporate governance ensures responsible management of enterprises and the fair balancing of stakeholder interests, which, in turn, increases investor confidence and market stability. This article examines the principles of modern corporate governance and their practical implementation in Georgia. It focuses on the reforms aimed at aligning Georgian corporate law with the best international practices, particularly in the context of the 2014 Association Agreement with the European Union. The 2021 Law of Georgia "On Entrepreneurs" represents a crucial milestone in this reform process, establishing modern corporate governance principles and strengthening corporate governance systems in Georgia. The article explores how well the new legal framework aligns with the fundamental requirements of corporate law. It discusses Georgia's corporate governance system and highlights reforms aimed at improving corporate governance in enterprises and ensuring a fair balance of stakeholder interests. The article also addresses Georgian corporate governance codes, created under the influence of soft law, in the fields of commercial banks and public securities, which aim to increase transparency and accountability in enterprises. To evaluate the impact of modern corporate governance principles on Georgian law, the article focuses on the principle of equal treatment of shareholders and the legal mechanisms for the protection of minority shareholders. In the context of Georgian law, it also considers the business judgment rule and the prohibition of misappropriation of corporate opportunities, which, within the framework of fiduciary duties of care and loyalty, ensure the consideration of the best interests of the business entity. Additionally, the article analyzes whether there are adequate mechanisms in Georgian law to preserve the corporate capital.

Key words: Corporate Governance, Shareholder Equality, Principle of Capital Maintenance, Business Judgment Rule, Corporate Opportunity Doctrine, Minority Shareholder Protection